მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ასპექტები

გიორგი მელაძე
giorgi.meladze@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, თსუ, ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, II კორპ.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი, კანონზომიერ მოვლენათა რიგს განეკუთვნება. ამავდროულად იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაცაა.

მოსახლეობის დემოგრაფილი დაბერება განისაზღვრება როგორც 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში (რიგ შემთხვევაში 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი).

მოსახლეობის დაბერების გლობალურმა პროცესმა, მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა. მოსახლეობის დაბერება უმთავრესად შობადობის კლების მიზეზითაა გამოწვეული, რომელიც საყოველთაო ფენომენი გახდა.

ხანდაზმული ადამიანების წილი განუხრელად იზრდებოდა მსოფლოში. 1950 წლიდან 2011 წლის ჩათვლით იგი 8.1%-დან 11.2%-მდე გაიზარდა და პროგნოზების მიხედვით 2050 წლისათვის 21.8%-ს მიაღწევს.

არცერთ დაბერებად ქვეყანაში არ არის ისეთი სიღარიბე როგორც საქართველოში, სადაც უახლოეს 20 წელიწადში (2005-2025 წწ.), მოსახლეობის კლება 555 000 ადამიანის ტოლი იქნება (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით). 2004 წელს მთლიანი ეროვნული შემოსავალი მხოლოდ 1060 აშშ დოლარს შეადგენდა ერთ სულ მოსახლეზე. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ წარმოადგენს აუცილებლობას ორმაგი პრობლემის გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის სწრაფ დაბერებასთან და განვითარებულ საბაზრო ინსტიტუტებზე გადასვლის დაუსრულებლობასთან, რომლებიც ასეთი დაბერების ნეგატიური ეკონომიკური შედეგების დაძლევის საშუალებას იძლევიან.

საქართველო დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყანაა. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა დემოგრაფიული დაბერების პროცესი 1992-1997 წლებში, რაც ორი ძირითადი მიზეზით იყო განსაზღვრული: 1. 1992-1993 წლებში მკვეთრად - მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონეზე დაბლა შემცირდა შობადობა, რომელიც ამჟამადაც დაბალია; 2. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა ემიგრაციული პროცესები, რომელშიაც ძირითადად 60 წლამდე ასაკის მოსახლეობა მონაწილეობდა.

საქართველო სპეციფიკური დემოგრაფიული რეგიონია, რაც ვლინდება იმ თავისებურებაშიაც, რომ ქვეყანაში, რომელიც ეკონომიკურად მეტად ჩამორჩენილია, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მკვეთრი დეფორმაციის გამო მოსახლეობის სიბერის დონე მნიშვნელოვნად მაღალია 14% (2012 წ.).

მსოფლიოს დემოგრაფიულად ყველაზე დაბერებულ 25 ქვეყანას შორის, 2008 წელს საქართველო მეთოთხმეტე ადგილზე იმყოფებოდა.